

# ჯეოსედი საქართველოდან გასვდას გეგმავს



“ჯეოსედის” მფლობელი კომპანია “თედრასონერა”, სტრატეგიას იცვლის და ევრაზიის რეგიონში წარმომადგენლობს ამცირებს. მათ შორის არის საქართველოც. კომპანია ქვეყნიდან გასვდას გეგმავს და შედეგად ახლო მომავალში „ჯეოსედს“ გაყიდის. საქართველოს გარდა „თედრასონერა“ უზბეკეთიდან, მოლდოვადან, ყაზახეთიდან, აზერბაიჯანიდან და ტაჯიკებიდანაც გადის და აქცენტს ევროპასა და შვედეთზე გააკეთებს. კომპანიის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ სტრატეგიის ცვლილების მიზანი, ახალი „თედრასონერას“ შექმნაა. პროცესი კი დროთა განმავლობაში, ევრაზიის რეგიონის სრულად დატოვებას გულისხმობს. აღნიშნულთან დაკავშირებით, დამატებითი კომენტარები დღეს “ჯეოსედში” არ გაკეთებულა. თავად “თედრასონერას” განცხადებაში კი არ არის დაკონკრეტებული რა პერიოდში გეგმავს კომპანია, საკუთარი აქტივების გასხვისებას.